# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 476

„18" დეკემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, ჟ.შარტავას №7-ში მდებარე შენობის მე-14 სართულზე არსებული 329,69 კვ.მ. ფართის (ს/კ №01.10.13.015.009) პირდაპირი განკარგვის წესით, სს -„სმარტ თრეიდისთვის" (ს/კ №205124346) იჯარით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის " 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122¹ მუხლის მე-6 პუნქტისა და და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. თანხმობა მიეცეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 12 აგვისტოს N32.20.977 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, ჟ.შარტავას №7-ში მდებარე შენობის მე-14 სართულზე არსებული 329,69 კვ.მ. ფართი (ს/კ №01.10.13.015.009) პირდაპირი განკარგვის წესით სს „სმარტ თრეიდისთვის" (ს/კ №205124346) იჯარის ფორმით გადაცემაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით გათვალისწინებული პირობებით.

2. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ათასი ლარით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2 წლის ვადით.

4. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი